საქართველოს მთავრობის განკარგულება

№243 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

1. შეთანხმებულ იქნეს ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი.

2. განკარგულება ძალაშია 2016 წლის პირველი თებერვლიდან.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2016 წლის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

ცხრილი N1

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2016 წლის ბიუჯეტი

ათასი ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	1,487.5
შემოსულობები	4,457.0
შემოსავლები	4,457.0
საბიუჯეტო სახსრები	2,240.0
საკუთარი შემოსავლები	2,217.0
გადასახდელები	5,413.0
ხარჯები	5,278.0
შრომის ანაზღაურება	1,294.0
საქონელი და მომსახურება	3,402.0
გრანტები	80.0
სოციალური უზრუნველყოფა	45.0
სხვა ხარჯები	457.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	125.0
ვალდებულებების კლება	10.0
ნაშთის ცვლილება	-956.0
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	531.5

ცხრილი N2

საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

ლარებში

შტატით გათვალიწინებული თანამდებობების დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ ერთეულზე	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში	სულ შრომის ანაზღაურება წლიური
სულ	**56**		**87,625.0**	**1,294,000.0**
დირექტორი	1	2950	**2,950.0**	
დირექტორის მოადგილე	2	2820	**5,640.0**	
სამსახურის უფროსი	5	2195	**10,975.0**	
სამმართველოს უფროსი	12	1785	**21,420.0**	
საწყობის გამგე	1	1320	**1,320.0**	
ბუღალტერი	1	1500	**1,500.0**	
განყოფილების უფროსი	1	1500	**1,500.0**	
კოორდინატორი	26	1320	**34,320.0**	
კოორდინატორი	5	1100	**5,500.0**	
არქივარიუსი	1	1000	**1,000.0**	
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1500	**1,500.0**	